ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ

ქ. თბილისი "____"_____2021წ.

წინამდებარე ხელშეკრულება იდება „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“, „უმაღლესი განათლების შესახებ კანონის“ და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტების საფუძველზე (https://www.tsu.ge/ge/studpage/regulations), ერთი მხრივ, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს (შემდგომში ,,თსუ”) წარმოდგენილი მისი *რექტორის, გიორგი შარვაშიძისა* და, მეორე მხრივ, ამავე უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ..... მაგისტრანტობის კანდიდატს (შემდგომში „მაგისტრანტი“)

--- ---

(სახელი) *(გვარი)*

პირადი N .....

შორის, რომლის სახელმწიფო დაფინანსება შეადგენს სწავლის საფასურის ..... %.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად, თსუ იღებს ვალდებულებას, შეუქმნას მაგისტრანტს სათანადო პირობები მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლისათვის და გაუწიოს შესაბამისი საგანმანათლებლო და მაგისტრატურის საგანმანათლებლო საფეხურზე სწავლებასთან დაკავშირებული მომსახურება იმ პირობით და მას შემდეგ, რაც მაგისტრანტი გადაიხდის სწავლის სემესტრულ საფასურს თსუ-ში ამ მიზნით მოქმედი სამართლებრივი აქტებისა და წინამდებარე ხელშეკრულების პუნქტი 1.3 შესაბამისად.

1.2. სწავლების ყოველწლიური გადასახადი შეადგენს **2250** (ორი ათას ორასორმოცდაათი) ლარს. *(სიტყვიერად)*

1.3. მაგისტრანტი ვალდებულია, სწავლის საფასური გადაიხადოს სემესტრულად **1125** (ათას ას ოცდახუთი) *(სიტყვიერად)* ლარის ოდენობით ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში.

1.4. მაგისტრანტის ჩარიცხვა განხორციელდეს თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ..... მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2 . მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. მაგისტრანტს უფლება აქვს:

2.1.1. მოსთხოვოს თსუ-ს ხელშეკრულების პირობების განუხრელად შესრულება;

2.1.2. მიიღოს ხარისხიანი განათლება;

2.1.3. მოქმედი კანონმდებლობისა და თსუ-ს სამართლებრივი აქტების შესაბამისად მონაწილეობა მიიღოს მეცნიერულ კვლევაში;

2.1.4. თსუ-ს წესდებით, შინაგანაწესითა და უნივერსიტეტის ინდივიდუალური აქტებით დადგენილი წესით წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებიდან გამომდინარე თანაბარ

პირობებში ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;

2.1.5. საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, კანონმდებლობისა და ამ წესდებით განსაზღვრული წესით, ფარული კენჭისყრით აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეულ იქნეს სტუდენტურ თვითმმართველობაში, წარმომადგენლობით საბჭოსა და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის მართვის ორგანოებში;

2.1.6. თავისუფლად დააფუძნოს ან/და გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესების შესაბამისად;

2.1.7. თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელთაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;

2.1.8. საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად სახელმწიფოსგან, უნივერსიტეტისაგან ან სხვა წყაროებიდან მიიღოს სტიპენდია, ფინანსური ან მატერიალური დახმარება, სხვა სახის შეღავათები;

2.1.9. შეიცვალოს საგანმანათლებლო პროგრამა თსუ-ში დადგენილი წესით;

2.1.10. საჭიროების შემთხვევაში მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში;

2.1.11. შეაფასოს აკადემიური პერსონალის მუშაობა თსუ-ში დადგენილი წესით;

2.1.12. სწავლის სემესტრული საფასური გადაიხადოს ეტაპობრივად: პირველი ნაწილი - არანაკლებ 50 (ორმოცდაათი) პროცენტისა - ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში, ხოლო დარჩენილი ნაწილი ადმინისტრაციული რეგისტრაციის დასრულებიდან დასკვნითი გამოცდების დაწყებამდე.

2.1.13. განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.

2.2. თსუ-ს უფლება აქვს:

2.2.1. მოსთხოვოს მაგისტრანტს ხელშეკრულების პირობების განუხრელად შესრულება.

2.2.2. არ განახორციელოს საგანმანათლებლო მომსახურება, ასევე მასთან დაკავშირებული სხვა მომსახურება, მათ შორის არ გასცეს დიპლომი მაგისტრანტის მიერ ბიბლიოთეკისა და ფინანსური დავალიანების არსებობის შემთხვევაში.

2.2.3. ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ მაგისტრანტი დაარღვევს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს, აღნიშნულ ხელშეკრულებას, თსუ-ს წესდებას, ეთიკის კოდექსს, შინაგანაწესსა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებს.

2.2.4. დაამუშაოს მაგისტრანტის პერსონალური მონაცემები სასწავლო პროცესის მიზნებიდან გამომდინარე. პერსონალური მონაცემების დამუშავებისას თსუ უზრუნველყოფს ინფორმაციის სათანადო უსაფრთხოებას პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული კონფიდენციალურობის, ერთიანობის და ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით (წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მაგისტრანტი/მაგისტრანტის კანონიერი წარმომადგენელი ადასტურებს თავის თანხმობას პერსონალური მონაცემების თსუ-ის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით დამუშავებაზე).

2.3 მაგისტრანტი ვალდებულია:

2.3.1. განუხრელად დაიცვას და შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულების პირობები და მოთხოვნები, თსუ-ს წესდება, ეთიკის კოდექსი, შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები, ასევე თსუ-ს მიერ მიღებული სხვა სამართლებრივი აქტების მოთხოვნები, რომლებიც უკავშირდება მაგისტრანტის მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ უფლებებსა და მოვალეობებს;

2.3.2. მუდმივად ეცნობოდეს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესსა და უნივერსიტეტის იმ სამართლებრივ აქტებს, რომლებიც ეხება სასწავლო პროცესსა და სწავლის საფასურთან დაკავშირებულ საკითხებს და განუხრელად დაიცვას მათი მოთხოვნები. აღნიშნული სამართლებრივი აქტები წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს.

2.3.3. მუდმივად ეცნობოდეს თსუ-ს მიერ ბეჭდური და ელექტრონული საშუალებით გავრცელებულ ინფორმაციას;

2.3.4. გაეცნოს მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

2.3.5. გონივრულ ვადაში აცნობოს თსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში არსებულ ანკეტაში მითითებული ინფორმაციის ცვლილების თაობაზე; წინააღმდეგ შემთხვევაში თსუ იხსნის პასუხისმგებლობას შესაძლო, მოსალოდნელი და დამდგარი უარყოფითი შედეგების გამო.

2.3.6. უზრუნველყოს თსუ-ს კუთვნილი ქონების, მოწყობილობებისა და მასალების სათანადოდ მოპყრობა და დაცვა, წინააღმდეგ შემთხვევაში მის მიმართ გატარდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული, ასევე, თსუ-ს ეთიკის კოდექსის, შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით გათვალისწინებული ღონისძიებები. უნივერსიტეტისათვის მიყენებული ზიანის გამო მაგისტრანტს დაეკისრება მატერიალური პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2.3.7. პირველი და დამამთავრებელი სემესტრის სწავლის სემესტრული საფასური გადაიხადოს სრულად, ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში.

2.3.8. სწავლის სემესტრული საფასურის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში მომდევნო სემესტრის ადმინისტრაციული რეგისტრაცია გაიაროს დავალიანების დაფარვის შემდეგ.

2.4. თსუ ვალდებულია:

2.4.1. განუხრელად დაიცვას და შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულების პირობები;

2.4.2. მისცეს მაგისტრანტს ხარისხიანი განათლება;

2.4.3.უზრუნველყოს მაგისტრანტი სწავლების სათანადო პირობებით უსაფრთხოებისა და სანიტარული ნორმების შესაბამისად.

3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის პირობები

3.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები ძალაში შედის წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, თსუ-ს რექტორის მიერ მაგისტრანტთან დაკავშირებით გამოცემული ჩარიცხვის ბრძანების ძალაში შესვლის დღიდან და მოქმედებს მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე.

3.2. თსუ-ს ინიციატივით ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ მაგისტრანტი დაარღვევს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს, აღნიშნულ ხელშეკრულებას, თსუ-ს წესდებას, ეთიკის კოდექსს, შინაგანაწესსა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებს.

3.3. თსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა არ იწვევს ხელშეკრულების შეწყვეტას. ხელშეკრულების მოქმედების ვადა გრძელდება ვალდებულებათა სრულად ამოწურვამდე.

4. დავათა გადაწყვეტის წესი

4.1. ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს შორის წარმოშობილი ყველა სახის უთანხმოება უნდა გადაწყდეს ურთიერთმოლაპარაკების გზით.

4.2. თუ წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებული დავა ვერ გადაიჭრება ურთიერთმოლაპარაკების გზით, მაშინ დავა გადაწყდეს სასამართლოს წესით.

5. სხვა პირობები

5.1. ხელშეკრულებაში ცვლილებები შეიძლება შევიდეს მხოლოდ წერილობითი ფორმით და ხელმოწერილი უნდა იყოს ორივე მხარის მიერ.

5.2. წინამდებარე ხელშეკრულება იდება ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. თითოეული ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.

5.3. მაგისტრანტს არა აქვს უფლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები გადასცეს სხვა პირებს, გარდა სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებული საკითხებისა.

6. მხარეები

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
რექტორი

გიორგი შარვაშიძე

(ხელმოწერა)

(მაგისტრანტის ხელმოწერა)

მის.: _____

ტელ.: _____ (ბინა) _____ (მობ.)

პ/ნ _____

ელ. ფოსტა: